წლიწადი მეცხრე. — № 430

პარასკევი, 5 ივლისს 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მ.ნ., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

ტფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

### შინაარსი:

„დროების“ განცხადება — საქართველო: წვრილი ამბები „დროების“ კორრესპონდენცია: თელავიდგან — ამერიკის განთავისუფლება — რუსეთი: უცხო — ქვეყნები: საფრანგეთი — ნარევი. საანდაზო, — წვრილმანები — საქართველოს ცხოვრებიდგან: I. ნუ იქნები უცნობი, II ერიდე ცნობისმოსპობას, ინგილო ჯანა-შვილისა.

# „დროება“

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისს — „დროების“ კანტორაში, ივანოვის ბიბლიოტეკაში. ქუთაისს — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

ბარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

„დროება“ ღირს გაგზავნით: ერთი წლით — ექვს მანეთად, ნახევარი წლით — სამ მანეთად.

**ვისაც წრევანდელი, ან შარშანდელი გაზეთის ფასი არ შემოუტანია, ვთხოვთ გამოგზავნონ რედაქციის კანტორაში.**

# საქართველო

## წვრილი ამბები

ტფილისის თეატრის ანტრეპრენერს იაბლოჩკინს მილანში იტალიური ტრუპპა შეუდგენია, და სეკტემბრიდგან ჩვენ ისევ ველირსებით მშვენიერს ოპერებს, რომელნიც ცოტა ოდნად მაინც განგვათავისუფლებს მომბეზრებელი პიესებისაგან.

— ერთი კვირა მეტია, რაც ჩვენში ერთი დიდი კვიმატი (კუდიანი ვარსკვლავი) გამოჩნდა. იმედია რომ ამ კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენის ეხლა ისე არავის შეეშინება როგორც ოცი წლის წინათ მოხდა.

— კომმისია, რომელსაც შავ-ზღვაზე პორტის ასაშენებელი ადგილის ამორჩევა ჰქონდა მინდობილი, ათავებსო თავის შრომას. ამბობენ რომ კომმისია ორს ადგილს არჩევს — ტუაფსეს და გელენჯიკს.

— „სასოფლო გაზეთის“ რედაქციაში ისყიდება თითო მანეთად საამხანაგო ბანკების დავთრების დაბეჭდილი ნიმუშები. იბეჭდება აგრეთვე სასოფლო ბანკების წესდება, განმარტებითურთ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

თელავი 26 ივნის 1874 წ.

საკვირველია თელავის საზოგადოება და მისი ცხოვრება! ყველა აქაური ჩათლახი, ჩანჩურა იბერება ვით ბაყაყი კრილოვისა; ყველა სცდილობს გამოიჩინოს თავის ვინაობა; ყველა ჰფიქრობს ძრიელ მაღლა თავის თავზედა; ყველა ოხერი აქ აბრახუნებს ფეხებსა; უსინიდისო აქ სჩნდება პატიოსნათა; ხანჯა და კლიაუზნიკი — საყვარელ კაცათ; გონებით უბედურნი და მახინჯნი — დიდ პედაგოგებათ. ვისაც აქვს ბუზის ტვინი იჩემებს აქლემისას, ვინც უფრო გავს დიდ-ყურასა, დღეგრძელობს და ბედნიერობს. ვინც დააკვირდება თელავის ცხოვრებას არ შეიძლება არ შენიშნოს, რომ აქ მექრთამობა ძიელ გახშირებულია და სამწუხარო უფრო ის არის, რომ ამ ქორების მომგონეთ ირიცხებიან იმისთანა პირნი, რომლებსაც პატიოსნებაში უფრო თავი მოაქვთ და რომლებიც სხვას უნდა ამხელდნენ და განკიცხავდნენ ხოლმე სასტიკად ყველა ამ საზარელ საქმეში. ამისთანა პირნი არიან აქაურნი მღვდლები და ტერტერები. კლერიკალები რომ მართლა ძრიელ დახელოვნებულები არიან ამ გვარ საქმეებში ამას გვარწმუნებს ისტორია ძველი, საშუალო და ახალი.

თელავის კლერიკალებმაც გამოიჩინეს თავიანთი თვისება, მიღებული თავიანთ წინაპარებიდგან. თუ ვინმე ამათ არ მოეწონათ და ან ჰფიქრობს სულ წინააღმდეგათ, ვიდრე ესენი — მაშინ მშვიდობით: უთუოთ უნდა მოელოდე, რომ გაგხვევენ ცილის წამებაში. აქაური კლერიკალები სცდილობენ ყოველის ღონის ძიებით და განსაკუთრებით ქორებით ავნონ იმ პირთა, რომლებიც არ ეთანხმებიან მათ ჰაზრებში. აი მაგალითი: ერთი თელავის სამაზრო შკოლის მასწავლებელს დასწამეს, რომ ვითომც ის ატეიზმს (ულმერთობას) უქადაგებდა თავის შეგირდებსა. საბუთათ აი რა ჰქონიათ. მასწავლებელს აეხსნა ყმაწვილებისათვის წვიმის მოსვლა, ორთქლის და ღრუბლის წარმოებაა ზღვებიდგან მზის სხივების გავლენის ქვეშ. რადგანაც მასწავლებელი წვიმის მოსვლას ბუნებითად განმარტებდა, აქედგან კლერიკალებმა გამოიყვანეს დასკვნა, რომ ეს კაცი ულმერთოა და ამასვე უქადაგებს ყმაწვილებსა. ცხადათ სჩანს, თუ რამდენად გავრცელებულია ჩვენში ცნობები ბუნების მოვლენებზედ.

განა ულმერთოა ის კაცი, რომელიც ეტყვის პატარა ყმაწვილსა, რომ ქუხილი არის ხმა ელვისა და არა ილიას ეტლის სიარული ყველა მასწავლებელისთვის სამღვთო ვალია, მოსპოს ყმაწვილის თავში ამ გვარი ცრუმორწმუნოება და მისცეს ნამდვილი ახსნა ყოველსავე ბუნების მოვლინებას. ჩემის ფიქრით ამისთანა პედაგოგი არის მადლობის ღირსი; მაგრამ თელავის კლერიკალებმა კი მადლობის მაგიერად, ზედამხედველთან პირათ იჩივლეს ამ კაცის ულმერთობაზედ. აი რეებს შვრებიან თელავში კლერიკალები! აი როგორი საშუალებით სცდილობენ დაღუპონ ის კაცი, რომელიც მათ არ ეპიტნავებათ. ამ გვარი მოქმედება კლერიკალების მხრით არ არის გასაკვირველი. რა არის მიზეზი, რომ კლერიკალები გავარჯიშებულები და დახელოვნებულები არიან ამ გვარ ქორიკანაობაში. ამას აქვს ორი მიზეზი: უქმობა, ცუდაობა და უმეცრება, მართლაც რომ ღრმა აზრი და ცხოვრების გამოცდილების დასკვნა იხატება რუსულ ანდაზაში: ცუდაობა არის დედა ყოველთა მიწიერებათა..

0000

## ამერიკის განთავისუფლება

ოთხი ივლისი ძვირფასად მოსაგონი დღეა ამერიკელებისათვის! ამ დღეს ამერიკის ხალხი გამოვიდა ინგლისის მონებისაგან.

დიდებულ სურათს წარმოადგენს: ერთის მხრით ძლიერი ინგლისის სამეფო, რომელსაც ალესულია ხრმალი თავის გაურჩებული ქვეშევრდომების დასასჯელად, და მეორეს მხრით ამერიკის შეურაცხყოფილი, აღელვებული და თავგანწირულად მებრძოლი ხალხი, თავისუფლების მოსაპოებლად!

ქვეყანა, რომელსაც გარდა ვაჭრობისა და ოჯახობისა, სამხედრო საქმისა არა გაეგებარა, როდესაც ჰხედავს განთავისუფლების საშველს, იარაღდება ერთბაშათ, აწყობს მეომართ ხმელეთზედ და ზღვაში!. ამერიკის ხალხი აწერს თავის დროშაზედ: „განთავისუფლება, ან სიკვდილი“. და უნდა ვსთქვათ, რომ ამ მიზნის მისაღწევად, ის არ შურავს არავითარს მსხვერპლს... მაგრამ განვიმარტოთ ორიოდე სიტყვით მიზეზი აჯანყებისა:

1765 წელს, ინგლისის მართებლობა ადებს ბაჟს ამერიკელებს ქაღალდზედ. კოლონიელები უარს ჰყოფენ. ისინი ამბობენ აღელვებით: „ჩვენ არა გვყავს წარმომადგენელი ჩვენის სარგებლობისა პარლამენტში, მაშასადამე არც მისგან დადგენილს ბეგარას გადავიხდით.“

ამ განზრახვით, ამერიკის ხალხი სწერს თავის მეფესა და პარლამენტს თხოვნას, რომელშიაც ჭკვიანად უხსნის და უმტკიცებს ახალი ბეგარის დადების უსამართლობას. ამ აზრს უთანხმდებიან ინგლისის მაშინდელი საუკეთესო კაცები: ფოკსი, პიტი. და სხვები და მეფე მართლა ათავისუფლებს თავის ქვეშევრდომ ამერიკელებს ახალი ბეგარისაგან.

მაგრამ ერთი წლის შემდეგ მართებლობა ხელ-ახლავ ადებს ამერიკელებს ახალს გადასახადს: ჩაიზედ, ქაღალდზედ, სალებავზედ და შუშეულობაზედ. როდესაც ეს გადაწყვეტილება მოდის ამერიკაში, მცხოვრებლები საშინლად შეშფოთდებიან და ბოსტონის ვაჭრობა სდებს ენერგიულ გარდაწყვეტილებას: „არ შემოუშვან ბოსტონის ბოლოზში არც ერთი ინგლისელი ხომალდი“. ამავე გადაწყვეტილებას უერთდება იმწამსვე დანარჩენი შტატები და ინგლისის ვაჭრობას მოელის საშინელი დაცემა. ბრიტანიის საზოგადოება ხედავს ამ თავის ქვეყნის გაჭირვებას და აიძულებს მთავრობას ხელი აიღოს ამერიკელების დაბეგვრაზედ კვლავ.

მაგრამ ინგლისის მთავრობა მაინც არ იშლის თავისას და ადებს კიდევ კოლონიელებს სხვა და სხვა, თუმცა ერთობ მცირეს, მაგრამ მაინც გადასახადს.

მაშინ ამერიკელები შედიან ერთ ინგლისელ ხომალდზედ, რომელიც ბოსტონში დგას და სულ ერთიანათ რაც ზედ საქონელია ზღვაში გადაუყრიან. ეს მოქმედება ერთობ აფიცხებს ინგლისის პარლამენტს და ბოსტონის ბოლოზი დაიხურება მთავრობის გადაწყვეტილებით.

მეორე დღეს ყველა ამერიკელი გაზეთები შავი არშიით იბეჭდება და ხალხი ხმამაღლა სთხოულობს იარაღს ინგლისელების გასარეკად ამერიკიდგან. ინგლისის ლიბერალები ეხლაც კოლონიელების მხარეს იჭერენ, ამტკიცებენ, რომ მთავრობა შემცდარია და უსამართლობაა ამერიკელების შევიწროება; მაგრამ გაგულისებული პარლამენტს ეს გონიერი რჩევა როდი ესმის,

მაშინ ფილადელფიის ქალაქში იკრიბება კონგრესსი, რომელიც არის ყველა კოლონიების წარმომადგენი — გარდა გიორგიისა, რომელიც მალე უერთდება და სდებს მტკიცე გადაწყვეტილებას: „რომ ინგლისთან გასწყვიტონ ყოველი კავშირი“. ამასთანავე სწერენ თავის მეფესა და პარლამენტს გონიერ პასუხს მათი ამ ნაირი მოქმედებისას. კონგრესი თავის წერილში ამტკიცებს: „რომ ამერიკა იცავს მხოლოდ თავის ბუნებითს სიმართლეებს, რომელიც მას ოფლითა და სისხლით მოუპოებია და რომელსაც ინგლისის მართებლობა ემუქრება წაართვას.“

ამ წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაში, რასაკვირველია, ამერიკელების სასარგებლოთ. ევროპა ხედავდა, რომ აქ ბრძოლა იყო კაცის უფლებასა და ძალადობას შუა.

აქედგან იწყება გამოცხადებული ომი, რომელიც თავდება აჯანყებულების გამარჯვებით.

მონაწილეობას ღებულობს მთელი ამერიკის ხალხი და უკეთესი მისი შვილები დგებიან ნაციონალური მოძრაობის თავს. ვაშინგტონი ინიშნება ალტაცებული ამერიკელი ჯარის სარდლათ და ფრანკლინი მოდის ევროპაში, რომ თავის სამშობლოს მოუპოვოს მოკავშირე და მებრძოლი.

და მართლაც, ლუი მეთექვსმეტეს სასახლეში, სადაც ყველა მდიდარი სამოსელით და პარიკით დადიოდა, უბრალო და სადა ფრანკლინის გამოჩენას გასაოცარი გავლენა ჰქონდა. ეს კაცი განახორციელებდა ახლად დაბადებულს ამერიკელ თავისუფლებას და ალმტაცი ფრანცუზის საზოგადოება ენციკლოპედისტების და რუსსოს ქადაგებითა ერთბაშათ დადგა მებრძოლთ დასში.

მარკიზ ლაფაეტი, ძმები ლამეტი, თავადი ლაროშფუკო (რომელთაც შემდეგ დიდი მნი-

შენელობა ჰქონდა ს ფრანგეთის რევოლუციის დროს) და სხვა ბევრი ფრანცუზის ახალგაზდობა მიეშველა ამერიკელებს დამოუკიდებლობის მოსაპოებელად. ამათ რიცხვში იყო აგრეთვე შესანიშნავი პოლშელი პატრიოტი და გმირი კოსციუშკოს.

ამერიკელები გახალისებული საზოგადო თანაგრძნობითა მათი საქმისათვის, გაცხარებულათ ებრძოდნენ ინგლისელებს და 1776 წელს, 4 ივლისს, სამხედრო მდგომარეობა იმ ნაირ წრეში იყო მისული, რომ მათ შეეძლოთ გამოეცხადებიანთ „განთავისუფლება.“

მაგრამ ბრძოლა კარგს ხანს გაგრძელდა, რომელიც დასრულდა რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკის განთავისუფლებით.

მეველე.

# რუსეთი

— დღევანდელი თელაველი კორრესპონდენტის ნაამბობის მსგავსი რუსეთშიაც ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე რუსულ გაზეთებში მოყვანილია მრავალი ფაკტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მღვდლები ძალიან ცუდის თვალით უყურებენ ახალს შკოლას.

ვლადიმირის გუბერნიის ალექსანდროვის უეზდის სამღვდელოება ავრცელებს აზრს, რომ ახალი მასწავლებლები არ ვარგანანო. ისინი რაღაც ლექსებსა და ზღაპრებს ასწავლიან, რომელიც სულს სრულიადაც არაფერს არგებსო. ცოლებიც ძალიან ეხმარებიან მღვდლებს ამ ჭორების გავრცელებაში. ისინი ხმასა ჰყრიან, რომ მასწავლებლებს ღმერთი არა სწამთ, ოთხშაბათს-პარასკევს მარხვას არ ინახავენო, ერთის სიტყვით მეორეთ მოსვლის დრო მოვიდაო.

ეკატერინოსლავის გუბერნიის მარიუპოლის უეზდშიაც ამგვარი ხმებია დაყრილი მღვდლების წყალობით. ერთი მღვდელი სოფელს ურჩევდა, რომ ესა და ეს მასწავლებელი დაითხოვეთ, არ ვარგა, ამიტომ რომ ერთობ ყმაწვილიაო, ყმაწვილებს ვერ უვლისო, ის ყოველთვის იმათ თამაშში ერევა ბავშვსავით ან არა და დაეთრევა და ბალახბულახს ჰკრეფსო, ან სხვა და სხვა ჭია-ჭუას და მძოვრისაგან დარჩენილს თავის ძვლებს აგროვებს. დადის ყმაწვილებითურთ წყალში, იჭერს ბაყაყებს და სხვა საძაგელ ცხოველებს, ბანკებში ამწყვდევს და სწავლების დროს ყმაწვილებს აჩვენებსო. ამას გარდა როზგს არ ხმარობს და მარცვლებზედ და ხვინჭაზედ ყმაწვილების დაჩოქებას სასარგებლოდ არ სთვლისო. ამავე მღვდელმა ქადაგების დროს სთქვა, რომ სწავლული კაცებისაგან და განსაკუთრებით მასწავლებლებისაგან არა ვითარს მაგალითს არ უნდა მიიღებდეთო, რადგანაც ისინი ნასწავლი კი არა სულელები არიანო.

ხარკოვის გუბერნიის ერთს უეზდში ერთმა მღვდელმა მთელი სოფელი დააჯერა, რომ მასწავლებლისთვის არ მიეცათ მათგანვე ჯამაგირად დაწესებული 75 მანეთი.

ყველა კორრესპონდენტებს ის მღვდლების მოქმედება ანგარების, ან მასწავლებელთან უკმაყოფილობისაგან გამოჰყავთ, ან არა და იმისაგან, რომ შკოლაში მღვდლების ალაგს თან და თან ახალი მასწავლებლები იჭერენ და ამგვარად როგორც ჯამაგირის ისე სხვა ჯილდოს მიღებას უსპობენ იმათ, რომელთაც აქამდის სრულიადაც არაფერი უსწავლებიათ ყმაწვილებისათვის, მაგრამ ჯამაგირსაც და ჯილდოს კი თვალ-გაფაციცებით შეჰყურებდნენ.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

პარლამენტის კომმისიამ უარ-ჰყო უფ. კაზიმირ პერრიეს წინადადება, რომლითაც ეს „ახლად მოქცეული რესპუბლიკელი“ სთხოულობდა რესპუბლიკის დაფუძნებას საფრანგეთში. ამ ნაირი ბოლო მოსალოდებელიც იყო, რადგანაც კომმისიაში უმრავლესობა მონარხიელებს უჭერიათ. მაგრამ აქედგან იმ აზრის გამოყვანა კი არ შეიძლება, რომ თავისუფლების საქმეს საფრანგეთში გასაჭირი ჰქონდეს.

ვერსალის გზა-დაბნეული ნაციონალური კრება ერთობ მჭევრმეტყველურათ ამტკიცებს თავის სისუსტეს. ის ვერ აფუძნებს რესპუბლიკას, მაგრამ ვერ აყენებს აგრეთვე ვერც შამბორს, მისი საშუალ საუკუნის მიმართულებითა, ვერც ორლეანს, რომლის პარტია ამ ბოლოს დროს დაითხრიშა, და ვერც ბონაპარტს, რომელსაც მარტო ოცდა ათამდე მომხრე ჰყავს ეხლანდელს პალატაში. რჩება ერთი და უკანასკნელი საშველი—დაშლა. და კრება უთუოდ უნდა დაიშალოს ამ ცოტას ხანში, რომლის მაგიერ საფრანგეთი ყოვლად უეჭველია აღირჩევს რესპუბლიკელ ხალხის წარმომადგენლებს.

ლეგიტიმისტებს კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ ბურბონის მონარხიის აღდგენა შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ გრაფი შამბორის მანიფესტმა ყველაფერი დაღუპა. ეს რაინდი კლდესავით ადგას თავის აზრს.

შამბორი აცხადებს, რომ სამფეროვანს დროშას, რომელიც მისი პაპის ძმის თავის მოკვეთაზედ დაჰფარფატებდა „თანხმობის მოედანზედ“ ის არასოდეს არ შეურიგდება. ეს მიზეზია მარტო საკმაო, რომ ანრი მეხუთეს თავის დღეშიაც არ ეღირსოს საფრანგეთის ტახტზედ ასვლა.

მეორე პრეტენდენტი, გრაფი პარიჟელი, ეხლა თითონ აცხადებს უარს გამეფებაზედ. რასაკვირველია, როდესაც კაცი ხედავს რომ მსხვერპლის მოუტანელობა შეუძლებელია, მაშინ ის ძალა-უნებურად გამოიჩენს სულის სიმაღლეს, ლიბერალობას! ამბობენ რომ ერთი თავის მამის ნამინისტრალის, მონტალივეს, წიგნი, რომელიც ამ მოხუცებულმა მონარხიელმა მისწერა პერრიეს, პარიჟელი გრაფის რჩევით იყო შედგენილიო. ამ წერილში ლუი ფილიპეს ნამინისტრალი აღიარებს, რომ საფრანგეთის ბედნიერებისთვის ეხლა რესპუბლიკა უნდა დაწესდეს, მონარხიის დრო წავიდაო. მონტალივე ულოცავს მარცხენა ცენტრის წინამძღოლელს, კაზიმირ პერრიეს, თავის წინადადების შეტანას და ეუბნება, რომ ყველა გონიერი და პატიოსანი ფრანცუზი, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო ერთგულად თანაგიგრძნობს თქვენ, რესპუბლიკის დასაარსებელათაო. ამ წიგნმა დიდი გავლენა იქონია ყველა პარტიებზედ, დაანახა საზოგადოებას, რომ მონარხიულ წყობილებას საფრანგეთში ერთიანად მოლპობია ძირი.

ამას გარდა პარიჟას გრაფი აცხადებს საქვეყნოდ რომ ის ეხლა თანაუგრძნობს რესპუბლიკას, და თუ შამბორის თაყვანის საცემლად იყო ფროშდორფში, ეს შინაურების წყალობით მომივიდაო. გრაფი ამზადებს აგრეთვე ერთს სტატიას, სადაც გამოყვანილი იქნება მისი ლიბერალური მოქმედება ყოველთვის, დაისიც რომ პრეტენდენტი ამერიკის რესპუბლიკის თავისუფლებისთვის იბრძოდა მონების განთავისუფლების დროს.

ყველა ესენი, რასაკვირველია კარგი რეკომენდაცია იქნება ლუი-ფილიპეს შვილის შვილისთვის, მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ ფრანცუზები ერთობ დაშინებული არიან „რესპუბლიკელი“ პრინცებისაგან და ძნელად დაენდობიან მის გულ-წრფელობას.

ბონაპარტელები ხომ სულ ისევ ნიადაგ თავის ხელობას არ სტოვებენ და ავრცელებენ ხალხში ყოველი საშუალებით იმ აზრს, რომ საჭიროა სახელმწიფო ცვლილება მოვახდინოთ ნაპოლეონის შვილის ტახტზედ ასაყვანათო. მოსყიდვას, დაპირებას, შეშინებას, ცილის წამებას, სიცრუეს, და ვინ იცის კიდევ რას არა ხმარობს ეს პარტია, ოღონდ კი უფლება ჩაიგდოს ხელში: „ჩვენთვის საჭიროა განმეორება მეორე დეკემბრისა (ამ დღეს ნაპოლეონმა, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, უღალატა ხალხს, სტეხა ფიცი და საშინელი სისხლის ღვრა მოახდინა პარიჟში იმისთვის, რომ შემდეგ იმპერატორათ გამხდარიყო), მაგრამ უფრო ვრცლად, დამატებულად და საფუძვლიანადო“.

„ამოგვწყვიტეთ უფ. რესპუბლიკელებო“ ყვირის დორბლწამოსული პოლ-დე-კასანიაკი თავის გაზეთში—„თორემ ჩვენ ბონაპარტელები ავი გულის პატრონი ვართ, ხანგრძლივი ხსოვნა გვაქვს. შებრალებას არ მოელოდეთ! თქვენი ბინა იქნება: კაიენა, ციხეები, ეშაფოტი, დახვრეტა! საჭიროა თქვენი დაწყევლილი ძირის აღმოფხვრა“. ამ ენით მიმართავს ბონაპარტელი ჟურნალისტი რესპუბლიკელებს. ცხადია, რომ მომავალი საზოგადო კენჭის ყრის დროს დეპუტატების ასარჩევად კრებაში. საშინელი ბრძოლა უნდა იქნებს ამ პარტიებს შორის.

მაგრამ დიდი წინასწარმეტყველება არ უნდა იმის თქმას, რომ ბონაპარტელების ინტრიგა ვერ დაუშლის საფრანგეთს თავისუფლების დამყარებას, ვერ შესძლებს მომავალ კრებაში რესპუბლიკელების მეოთხედი რიცხვი დეპუტატები აღმოარჩევინოს ხალხს.

ამნაირი აშფოთებული მომავალი, და მარშალის მაკ-მაჰონის „ბრძანება“ ჯარისადმი ლონშანში, ყველა ესენი საშინლად აფეთებენ ბურჟუაზიას, აჩერებენ ვაჭრობას, აღებ-მიცემას და ყოველ გვარ კომერციულ გამოწყებას.

მარშალი ეუბნება ჯარს, რომ ის ვალდებულია, შეეწიოს იმას, ე. ი. მაკ-მაჰონს პოლიტიკური მოსაზრების აღსასრულებელად, რომელსაც მოითხოვს გარემოება. „ალბათ მარშალს, რაღაცა განზრახვა აქვს, თორემ ეს რათ სთქვაო!“ ამბობს დაფეთებული პარიჟელი ვაჭრობა.

რესპუბლიკის პრეზიდენტის „პატიოსნებაზედ“ ამას წინათ ყველა დარწმუნებული იყო, მაგრამ ეხლა ეს აზრი ცოტა შერყევას იწყებს. მაკ-მაჰონი ეუბნება ერთს დეპუტატს: „თქვენ შეგიძლიათ რამდენიც გნებავსთ იბაასოთ, ასეც გადაწყვიტოთ და ისეც, თუ გინდ დაიშალოთ, და თუ გინდ რამდენს ხანსაც გსურსთ დარჩეთ, მაგრამ მე კი ჩემს შვიდი წლის უფლებას ერთ დღესაც არ გამოვაკლებ. მე შვიდ წელიწადს უნდა ვიქნე საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ და ამ ტიტულის გაცვლა არ მსურს არც მთავარ მართებლობაზედ, არც სხვა ხარისხზედ“.

„მე სადაც ვდგევარ დღეს, იქვე ვიდგომილები!“

კაი ხუმრობაა, თუ ვერსალის მონარხიულს კრებას გველი გამოუზდია თავის უბეში და მაკ-მაჰონი მათ აღარ აქვა!.

# ნარევი

## საანდაზო

კუდიან ვარსკვლავსა და კუდიან კაცს შუა ის განსხვავებაა, რომ პირველი თითონ გამოჩნდება, მეორე კი გამოსაჩენია.

—

ქმარი მზითევს თხოულობს ცოლისაგან „სარჩოთ“, ცოლი კი—არა. სიმართლე თუ გინდათ ქალმაც უნდა მოსთხოვოს კაცს მზითევი, როდესაც იგი არჩენს მას.

—

მეძებრები ნადირობამდი არიან მარტო გადაბმულნი, ცოლ ქმარი კი—ყოველთვის.

—

ვეფხვის ალერსი, ადვოკატის უანგარება, ქალის ფიცი თანასწორად დასაჯერებელია.

—

მარჯვე მონადირე ამბობს: ჰკარ გარეულსა, თორემ შინაური სად წავივა!

—

ზოგიერთი კაცი ძაბუნ ქორსა ჰგავს: გარეულს რომ ვერ მოინადირებს, შინაურს დაუბრუნდება.

—

„მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს“.

—

მოსარების სიყვარულს და რძლის სიყვარულს შუა ის განსხვავებაა, რომ პირველს დიდი ჯაფა სჭირია, მეორეს კი—არა.

—

შვილის გამოზდას ისევ გოჭის გამოზდა სჯობია. გოჭი დაიკვლება მაინცა, შვილი კი ამათაც არ ვარგა

—

ადამიანი მარტო ბედნიერებაშია მეგობარი ძაღლი, კი ნიადაგ.

—

მოვალის კარზედ მოდგომას, საყვარლის ტუჩში კოცნა სჯობია და ამას—სქელი მჭადი და კბილი ყველი.

—

საყვარლის გული ნექტარიც არის და ძირმწარეც. ნექტარი, როდესაც ერთგულია, და ძირმწარე, როცა ღალატობს.

—

ქალის გონიერება კაცზედ ამითი მტკიცდება: ცოლს არ სჯერა ქმრის ერთგულება, ქმარს კი ცოლისა—ყოველთვის.

—

ანგარი საყვარელი და შევარდენი ორივე ერთი ზნისაა. ორივე თანასწორად სტოვებს ძველს სამფლობელოს, როდესაც ბეგარა კლებულობს.

—

ცუდი კაცის ქება გამლანძღველია, ცრუს დამოწმება საწყენია.

—

ლამაზი ქალის სიყვარული საშიშია, დუხჭირისა—სასარგებლო.

—

რამდენათ ცოლის კურტუმო მშვენიერდება, იმდენათ ქმრის ჯიბე გლახაკდება.

—

ზოგი ერთ ქართველ ქალს თავ საკრი მოუძრიათ ე. ი. გარიდგან დაუწყიათ გოგრის გაევროპიელება. არ სჯობდა ვითომ, რომ ეს პროცესსი შიგნიდან დაწყებულ-იყო?

—

ცოლიანი კაცის მდგომარეობა და მებანკისა ქალალდში თანასწორია. არც ერთმა იცის როდის მოუჭრიან თავის საუნჯეს, არც მეორემ.

—

თუ ქალის გაარშიყება გინდა ჯერ მის ქმარს დაუმეგობრდი, მერმე ოჯახის ძაღლს.

—

პატიოსანი კაცი იმისთვის ვერ იწევა ზევით, რადგანაც სწორი გზით დადის.

—

ასტრონომისათვის კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენაა აღდგომა, ადვოკატისთვის დანაშაულობის გაგონება, ჩინოვნიკისთვის უფროსთან პრეფერანსის თამაში, ხახისთვის მეგობრის ცოლის სიკვდილი.

—

დამაშიკის სინიდისი ცალ ფულად ღირს, იმისი დამქირავებელისა სულ არაფრათ.

—

ზოგიერთი ნიჭიერი კაცის ზნეობას ისევ მეძავი ქალის ზნეობა სჯობია. პირველი სულს ჰყიდის ფულად, მეორე კი მარტო—სხეულს.

—

უსამართლო ბატონის წყალობა ჯილდოს მიმღების სიცუდეს ამტკიცებს, რისხვა კი—სიკეთეს.

—

ხალხი და ყმაწვილი ორივე თანასწორ ადვილად დასარწმუნებელია. ერთიცა და მეორეც შეპირებით დაკმაყოფილდება.

—

ზღვასა და ხალხს შუა ის განსხვავებაა, რომ

პირველი განურჩევლად ალრჩობს ბრუნდსაცა და მართალსაც, ხალხი კი მარტო ბოროტსა სჯის.

—

ძველად სიმხნითა და სიმართლით მოიხვეჭებოდა სახელი ეხლა კი — სულ მდაბლობით და ორპირობით.

—

იესო ქრისტე რომ ჩვენს დროში ჰყოფილიყო ხელმეორეთ აცმევდნენ ჯვარსა. იუდას კი — დიდ ალაგს მოსცემდნენ.

—

მეფრველობა კარგიც არის და ცუდიც. კარგი როდესაც უანგაროა, დამღუპველი, როდესაც ანგარება ურევია.

—

ბატისა და რკინის კალმებს შუა ის განსხვავებაა, რომ პირველის დროს არ იწერებოდა ყალბი ვექსილები, მეორეს კი ამისა არ რცხვენია.

—

ინგლისელი თავისუფლებას ვერ მოიჩებს: ფრანცუზ — სახელს, ქართველი უბედობას.

—

სასაცილოა: მოხუცი აშიყი, კოჭლი მაცეკვრი დუხჭირი პრანჭია.

—

სტენლისა და პლატონ ფილოსოფოსს შუა ის მსგავსებაა, რომ სტენლიმ ლივინგსტონი მონახა აფრიკაში, პლატონმა კი ნოეს მტრედის ნაკვალევი.

—

უგუნური ბატონის ყოლა და შფოთიან ზღვაში შესვლა თანასწორია. არც ერთზედ არ ითქმის როდის შთაგნთქამს.

—

მზე თვალს ანათლებს, საყვარლის თვალი კი გულს.

—

ივდით რომ ოლოფერნე მოუკლავს, ეს ოლოფერნეს უხეირობას ამტკიცებს; ლამაზ ქალთან, და კიდევ ღამე რა დროს ძილი იყო?

—

თუ სახელის განთქმა გინდოდეს, თავი იქე. თუ სიმდიდრისა — ვალი აილე, თუ ჰკვიანობისა — ქვეყანას ულალატე.

—

ბრალდებითი აქტის გადაშლას ლამაზი ქალის გულის გადაშლა უნდა სჯობდეს.

—

ტიერსა და ბაზმა იარანალს შუა ის მზგავსებაა, რომ ორივე მოხუცებულია. განსხვავება კი იმაში რომ ტიერი არ ილებამს თმას, გუნდით, ბაზმა იარანალი — კი.

—

ვინც პირდაპირ არ იყურება, ეს იმის სინიდისის უწმინდურობის ნიშანია. ვინც ნიადაგ თვალში გიმზერთ ეს იმის შიშია, რომ უსინიდისობა არ შესწამოთ.

—

ბევრი ადვოკატის მჭერ-მეტყველობას, კარგი მეძებრის ყეფა სჯობია.

—

ვესლიან მეგობარსა და კალამს შუა ის განსხვავებაა, რომ მეგობარი თქვენა გკლავსთ, კალამი კი სხვას.

—

უმეცარი რომ განათლებას გპირდებოდეს ეს იმას. ჰგავს: რომ „ყვავს არ ჰქონდეს და ბუზს გაჰქონდესა

—

ხელმათმანი ორს ადგილს არის სახმარი: ერთი უფროსთან, მეორე ტალახის ხელში ასალებათ,

—

სანთელი ერთ ადგილას ალამებს გულს: როდესაც მარტო ლამაზ ქალთან ზიხარ.

—

უბრალო ლორსა და განათლებულს ლორს შუა

ის განსხვავება, რომ პირველი ვერ გრძნობს თავის ვინაობას, მეორე — კი

—

ისრაელებსა და ქუთათურებს შუა ის განსხვავებაა, რომ პირველთ არ რწმუნოდათ მესსიას მოსვლა, მეორეთა, კი სჯერათ რომ ნ. ნ... ქეს ავსტრიის იმპერატორთან პირობა შეუკრავს.

—

თოფის წამალსა და შკოლას შუა ის მსგავსებაა, რომ ერთიცა და მეორეც, თუ ცუდათ მიმართე, მომაკვდინებელია.

—

გალილეს დაჯინებული აზრი — მიწის სიმრგვლე იყო, ქართლელებისა — უბრჯგუს საჭიროება.

—

ძველი ქართველის სასსოებელი ოცნება სამშობლოს სამსახური იყო, ახლისა აფიცრობა და ჩინოვნიკობა.

—

ძველად პატივსა და წყალობას ხრმალი აძლევდა კაცს, ეხლა კი — ლამაზი ცოლი და და.

—

ფარვანა სინათლისთვის იწვის, სამხედრო კაცი კი რისთვის?

—

მეგრელისა და ურიის შვილმა სომეხს უნდა გადაარჭარბოს.

—

უპატიოსნო კაცების მრეცხელი რომ გამოჩნდეს' დიდ ძალ ფულ არ მოაგროვებდა!

—

საპყრობილეში ცხოვრებას თავისუფლად ყოფნა უნდა სჯობდეს, მაგრამ ეს ბევრს არ ესმის!

—

ძველად იტყოდენ: „დარბაზს შესვლა შენია გამოსვლა პატრონისა. ეხლა ითქმის: დარბაზს შესვლა პატრონისაა, გამოსვლა შენი.

—

დაკვლას ხარიც კი იგრძნობს, ქვეყანა კი — ვერა.

—

რომშფორისა და ასპიდის კბენას შუა ის განსხვავებაა, რომ პირველსარ გაეწყობა წამლობა, მეორეს — კი.

—

თამარ მეფემ საქართველოს ძეგლი აუგო, საქართველომ კი თამარს ვერ აუგო ძეგლი!

—

ვინც თავის ქვეყნის წარსულს არ აფასებს, იმას მომავალიც ზურგს შეაქცევს.

—

ცოლ ქმარს სჯული აერთებს, ხალხს — ენა და ჩვეულება!

—

შინაურს მტერს ისევ გარეული მტერი სჯობია.

—

თოვლი მზის მხურვალებით დნება, შეყვარებული კი — თავის საყვარლის ეშხითა.

—

ღვინის წასახდენათ წყალია მოგონილი, ხალხის დასაღუპავად — ენის გარყვნა.

—

ბავშვის წახდენა თუ გინდა, დედის ძუძუ წაართვი, ხალხის დაცემა თუ გსურს, სამშობლო ენა მოუსპე.

—

სულელის სიყვარული თუ გსურდეს პირში აქე.

—

კაცი თითონ ეძებს საზოგადოებას, საზოგადოება კი არასოდეს არ ეძებს კაცს.

—

სანთლის გული მარტო ერთხელ შეიძლება დაიწვას, ქალის გული კი რამდენჯერაც გნებავსთ!

—

ხალხი რომ თავის ენაზედ მსაჯულის სახელს ვერ გამოთქვამს, ეს მასში სამართლის დავიწყების ნიშანია.

—

დალაქი თმას კრეჭავს, ადვოკატი ჯიბეს.

—

ზოგის პოეტობა შეძენილია, ზოგის მემკვიდრეობითი. პირველი რომაელი ბატების ყიყინსა ჰგავს, მეორე ჩვენებური ბატებისას.

—

გაშლაშინებული პილი სასიამოვნოა, პოეტი კი გაშლაშინებული საზარელია.

—

წინამძღოლი კაცის ფორხილს ისევ მისი ცხენის ფორხილი სჯობია.

—

ავი მზარეული და ავი მეჭანკალი თანასწორია. ერთი კუჭს ამცირებს, მეორე გულს.

—

ზოგის ჭკუა წყალ ღვინოსა ჰგავს, ზოგის ძმარს, ზოგის მთხლეს.

ძალათ ოხუნჯი.

—

— ერთი ამერიკელი ფილადელფიაში საქვეყნო გამოფენის დროისთვის აკეთებინებს ერთს უზარმაზარს ცეცხლის გემს, რომელშიაც ათი ათასი მგზავრი დაეტევა თურმე. ეს ხომალდი ივლის ევროპასა და ამერიკას შუა გამოფენაზედ მიმავალი მგზავრების გადასაყვანად. სიგრძით ეს გემი სამასი საჟენი იქნება, სიგანით ორმოცდა ათ საჟენამდის ბორბლებს გარდა და სიმაღლით ოცდა ხუთამდის.

—

— ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერ გამრავლებულია იმ კაცების რიცხვი, რომელთაც სურთ, რომ ქალებსაც მიეცესთ მონაწილეობა კენჭის ყრაში. თუმცა ჯერ ეს სისრულეში არ მოუყვანიათ, მაგრამ ისეც საიმედო უნდა იყოს რომ ამერიკის სენატმა, ახლად დასაწყსებელი შტატისათვის საზოგადო კანონების განსჯის დროს, ქალების ალრჩევითი უფლება უარ-ჰყო მხოლოდ ოცდა შვიდი ხმის უმრავლესობით ცხრამეტი ხმის წინაალმდეგ.

—

— კალიფორნიაში (ამერიკაში) ერთი გამოქვაბული კლდე უპოვიათ, რომელსაც საოცარი ანდამატის ძალა აქვს თურმე. იქ მყოფი ინგლისელები ამბობენ, რომ ერთს ჩვენგანს ხელიდამ ნაჯახი გამოუსხლტა და ქვაბის კედელს მიეკრა, ისე რომ ველარ მოვაცილეთო. ჭუსლის ლურსმნები ისე მაგრად მიეკრა მიწას, რომ წაღები გაგვახდევინაო.

—

— ამ წლის ოკტომბერში ბერლინის ქალაქში უნდა იქნეს საქვეყნო გამოფენა ლუდისა და იმ იარაღებისა და ნივთებისა, რომელნიც ლუდის კეთებაში იხმარება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც ტვინის გამლაყებელს მეტაფიზიკაში, ისე ამ სხეულის გამასუქებელს და დამადუნებელს სასმელში ვერც ერთი ქვეყანა ვერ აჯობებს გერმანიას.

—

— ერთ ფრანცუზს გამოუგონია ერთი იარაღი, რომლითაც თავ-გამწევისა და დაფეთებული ცხენის ერთ წამში შეჩერება შეიძლება თურმე. ეს იარაღი თურმე სულის შეთქმას უჭირვებს ცხენს და ამის გამო უთუოდ უცებ უნდა შეჩერდეს.

—

— მთელ დედა-მიწაზე უმდიდრეს კაცად ითვლება ჩრდილოეთის ამერიკის სენატორი იონასი, რომელსაც ყოველ წელიწადში ოცდა ხუთი მილლიონი შემოსავალი აქვს.

—

რიცხვი მცხვრებთა ამერიკაში — 39 მილ.
რუსეთში — 82
ჯარი მშვიდობიანობის დროს ამერიკაში 33 ათას კაცამდე.
რუსეთში 883 მილ.
სახაზინო შემოსავალი ამერიკაში 449 მილ.
რუსეთში 518 მილ — დი.
გასავალი ამერ კისა . . . . . 333 მილ.
რუსეთისა 518 მ. ნაკლ.
ნამეტანი შემოსავალი გასავალზედ ამერიკაში . . . . . . . 116 მილ.
რუსეთში 28 ათას მან.
რკინისგზის სივრცე ამერიკაში. 100 ათას ვერსტამდე.
რუსეთში 14 ათას ვერს.
ტელეგრაფის სივრცე ამერიკაში — 114 ათას ვერსტამდის.
რუსეთში — 54 ათასი ვერსტი.
ტელეგრაფის სტანცია ამერიკაში 6 ათასამდე
რუსეთში — 648
რიცხვი სასწავლებელთა ამერიკაში — 142 ათასამდე.
რუსეთში — 26 ათასამდე.
რიცხვი მოსწავლეთა ამერიკაში — 8 მილ.
რუსეთში — 1 მილ.

—

გერმანიას ჰყავს ომიანობის დროს ჯარი მილლიონ ნახევარზედ მეტი (1,169,000)
საფრანგეთს — ორ მილლიონ ნახევარზე მეტი (2,589,000.)
ოსმალოს — შვიდასი-ათასი — (700,000)

—

სერბია, საცა ერთ მილიონ ნახევარზედ ნაკლები ცხოვრებია (1,306,674) ომინობის დროს გამოიყვანს, ოთხმოცდა ჩვიდმეტ ათას კაცამდე.
შემოსავალი აქვს სერბიას სამ ნახევარი (392) მილლიონი.

—

## საქართველოს ცხოვრებიდგან.

—

### I.

### ნუ იქნები უცნობ.

ქვეყანაზედ როგორც ცხოველები, აგრეთვე მცენარეები არასოდეს არა ჰკარგავენ თავის ჯიშსა. შეუძლებელია, რომ ვაშლი როდესმე მსხლად გადიქცეს, მსხალი ვაშლად კაკალმა კიტრი მოისხას, კიტრმა კაკალი. აგრეთვე შეუძლებელია, რომ ბუნებამ კაცი დათვად გადააქციოს, დათვი კაცად. მაგრამ ძალიან შესაძლო არის, რომ უფხო ცხოვრებამ და ალზრდამ კაცი მგელივით მტაცებელ ცხოველად აქციოს. ამისათვის ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა, კაცის ალზრდას, რომ ის შეიქმნეს ისეთ ქვეყნის დამაგვირგვინებელ ცხოველ არსებათ, როგორსაც მოითხოვს მის გვამში ჩანერგილი გონიერების ტალანტი და ბედნიერებისადმი ლტოლვილება. ეს ტალანტები თუ კაცმა არ ასხურა განათლების უსუპითა და არ მოუსპო კაცის გულს მჯეცებრივი ლტოლვილება, ის უთუოდ შეიქმნება იმ გვარ არსებად, რომ სრულიად არ ევგანება კაცს და არ იქნება უმშვენიერესი ქვეყნის დალიჭი. იმას ნორჩს ბუნებაში სიყვაწვილიდგანვე უნდა ჩაენერგოს თავისუფლად მოქმედების აზრი, რომ კაცთა საზოგადოებაში ის არ შეიქმნეს ლვარძლად, რომელიც შემდეგ უვარგისობისაგამო უნდა მოიგლიჯოს და გადიგდოს მშვენიერს, კაცთაგან შედგენილს, საზოგადო ავარაკისაგან.

ქართველების დავრდომილი და გონება-დახშული მდგომარეობა სწორეთ ამ ცუდის ალზრდილობით აიხსნება. ქართველი ხალხი დამარცხებულია ხასიათით, სულით და გულით. იმას არა ჰყავს გონიერი წინამძღოლი ჭეშმარიტების გზაზე. იმის ბელადს დაჰკარგვია დავთარი ხელმძღვანელობისა და ამისათვის ხალხი გამხდარა ძონძად, რომელსაც თავის ჩრდილისაც ერიდება და ეშინიან. იმას იქ ეშინიან, საცა სრულიად შიში არ არის. ცუდმა ალზრდამ ის ყირამალა დასცა და არ იცის ფეხზე როგორ წამოდგეს.

## II

### ერიდე ცნობის მოსპობას!

უფ. პროვინციალური მათვალიერებელის პასუხათ ვიტყვი, რომ ქართველები მარტო გორგ-ასლანის დროს არ უკიოდნენ ბატონებს—საომრად წაგვიყვანეთო, მარტო მაშინ არ იყვნენ გატაცებულნი თავის მხედრული ვაჟკაცობით, ფხიზელი გონებით და შემმართებელი სიძლიერით.

უფრო უდიდეს სულის სიძლიერეს, ხასიათის სიმტკიცეს და მტრისთვის შეუპოვრობის მაგალითებსაც იპოვით ქართველების ცხოვრებაში. 1136 წელს სირიელებმა, ხვარასნელებმა, სპარსელებმა და სხვა მრავალმა მოსლემების ხანებმა მოიყარეს ერთად თავი და დააპირეს საქართველოს დარბევა. მეფე გიორგიმ შეიტყო თუ არა იმათი განზრახვა, მაშინვე შეჰყარა იმერნი და ამერნი, ჰერ-კახნი, მესხნი და აჭარელნი და განძვინებული გაემზადა იმათთან საბრძოლველად. მოსლემობა დაბანაკდა სომხეთში, მდინარე არაქსის მარცხენა მხარეს და მოადგნენ გაგის ციხეს, რომელშიაც ქართველების მეციხოვნეები იყვნენ: აიღეს ეს ციხე და ააოხრეს იმისი არე-მარე ადგილები. მაგრამ ანის ქალაქს კი ვერაფერი დააკლეს, ამისათვის რომ აქ ქართველები ძალიან გამაგრდნენ, რადგან მოთავეთ ჰყავნდათ ძლიერ სახელ-განთქმული ქართველი კაცი თორელი. ქართველები აქ მტერს პირის-პირ დაუდგნენ. ვიდრე ომი დაიწყებოდა მეფის ჯარში მყოფი ქართველები მტრის პირის-პირ კისკისობდნენ, ჯირითობდნენ და სიხარულით არ იცოდნენ რაექნათ, რომ საცა არის იმათ შემთხვევა მიეცემათ—ყველამ თავ-თავისი ბიჭობა და მკლავ-მარჯვობა გამოიჩინოს. ასე მარჯვედ და თამამად რომ იხილეს ქართველები, მუსულმანები შეშინდნენ და ვერ გაბედეს ომი. შეიყარა სამხედრო თათბირი და იქ ასრე გადასწყვიტეს: „რა არს დღეს კაცი ქვეყანასაზედა პირის-პირ შემბმელი ქართველებისა და ლაშქართა მისთა: მივრიდოთ და დავეფარნეთ პირისა მათისაგან.“ ამ გადაწყვეტილების შემდეგ სიჩქარით დასტოვეს გაგის ციხე მთელის სურსათით და გაიქცნენ; ქართველები მიჰყვნენ უკან, მოეწივნენ და ასეთი ყათლამი აუჩინეს, რომ კატისაგან შეშინებულ თაგვებიეთ აქა-იქ იმალებოდნენ და იხვეწებოდნენ შეგვირიგდითო. ქართველებს არ უნდოდათ შერიგება; მაგრამ ზოგიერთმა მეფეს უთხრეს: „ვინაიდგან გაქცეულა სულტანი ყოვლითა სპითა მისითა, ნურღარა აღზვავებული მკადრებლობ ღვთისაგან ესრეთ ამაღლებული.“ მეფე კეთილ-გონიერი კაცი იყო, დათანხმდა იმათ რჩევაზე და დაითხოვა ჯარები; თვითონ კი ერთი დასტა კაცით ლორის ხეობაში სანადიროთ დარჩა. ნადირობის დროს მეფეს მოუვიდა ხორასნის სულთანისა და სხვა მუსულმანი ხანებისაგან მოციქულად ერთი სამხედრო საქმის მცოდნე მტრელი კაცი, ამხილველი და გამხილველი მეფის მცირე დასტის ბანაკისა. ამ კაცის სიტყვით ვითომც ხორასნის სულთანი და სხვანი ქართველებთან შერიგებას თხოულობდნენ. ქართველებმა ვერ გაუგეს ხრიკი. მეორე ღამეს, როცა ქართველებს ეძინათ, ეს კაცი გაიპარა და მივიდა სულთანთან და ასრე უთხრა: „აჰა ჟამი კვალად გებისა ჩვენისა: უკეთუ აწ არა მიხვიდეთ, სხვა ჟამი ვერღარა ჰპოოთ.“ გათიადისას მძინარე ქართველებს სულთანი თავს დაესხა. ქართველები წამოცვივდნენ, მოახტნენ ცხენებს და შებმა მოინდომეს. მაგრამ სიმცირისა გამო, მეფის რჩევით, ჯერ-ჯერობით ომს მორიდება არჩიეს. გამოუყვნენ-ს შინ დაბრუნებულ ქართველებს მარჯვე ყმაწვილები და უბრძანეს უკან დაბრუნება. ჯარები შეიყარნენ და ისრე ფიცხლად შეებნენ ხორასნის სულთანს, რომ თავზე კაკალი დაამტვრიეს. დამარცხებული მტერი გაიქცა. მეფე ჩავიდა ანის ქალაქში და დააყენა მართველად ორი კაცი, ერთი ქართველი, მეორე სომეხი, რადგან ამ ქალაქში სომხები სცხოვრებდნენ. ამის შემდეგ მეფისა და სულთანის შუა ჩამოდგა სულთნის ცოლი დედოფალი რუსუდანი, და მეფისა, და მოახდინეს შერიგება; მაგრამ ქართველებმა ეს შერიგება არ მოიწონეს. ამისათვის დაბრუნების შემდეგ, მეფე რომ დაიარებოდა თავის სამეფოში და ყველაფერს გან გებდა, ქართველები ყოველგან უკმაყოფილებას უცხადებდნენ შერიგებაზე. ის იმერეთში რომ მოვიდა და დადგა გეგუთის სასახლეში, მაშინ მოიყარეს საქართველოს წარჩინებულებმა და გლეხობამ თავი და ასრე უთხრეს მეფეს: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა.“ მეფე ჯერ თანახმა არ ხდებოდა; მაგრამ გეგუთელებმა იმას ძალა დაატანეს და დაითანხმეს. დასკვნეს ლაშქრობის პაემანი. შეიყარნენ მთელ საქართველოდგან ჯარები და გაიყვნენ ხუთ ნაწილად. კლარჯეთელებს და შავშელებს, რომელნიც ეხლა ოსმალების ხელში არიან, მეფემ მისცა ნება ოსმალეთის შავზღვის ნაპირა ქვეყნების მოოხრებისა და დარბევისა; მესხელებს და თორელებს უწინამძღოლა პოეტი რუსთაველის მამა ამირ-სპასალარი *) და მისცა ნება ყარსის ახლო-მახლო ქვეყნების მოოხრებისა; სომხითლებს მტკვრის მარჯვენა მხრისა, ვიდრე სპარსეთამდე; თვითონ მეფემ ქართლელებითა და იმერლებით შეტოპა სპარსეთის სამეფოში და მილეწ-მოლეწა (თურანში) ყოველი არე-მარე განძა სატახტო ქალაქისა; კახელები და ერეთელები ალაზნის შესართავიდგან შეუსივა შირვანის სახანოს. ასრე ამგვარად გაწყობილ ლაშქრებმა ყველამ თავ-თავის დანიშნულს ქვეყნებს ქარივით დაუქროლეს, მილეწმოლეწეს მტერი, იშოვეს დიდი დავლა და მოვიდნენ თავის სამშობლოში. მეფეც მოვიდა სპარსეთიდგან, მოიტანა დიდი საშოვარი და დადგა ისევ გეგუთში, რომლის მცხოვრებლებმაც ეს სახელოვანი ომი გააბედვინეს (იხ. ქართ. ცხოვ. 267, 269, 270 და 271 კაბადონები.).

ამის შემდეგ საქართველო ისრე გაძლიერდა, რომ ყველა სამახმადიანო მეზობელ სამეფოებს ქართველების ხმლისაგან შიშით ათახთახებდათ. მთელს აჭარას, რომელიც ახლა ოსმალეთს უჭირავს, მთელს სამცხესაათაბაგოს, ქართლს, კახეთს, იმერეთს, გურიას, სამეგრელოს, აფხაზეთს და სვანეთს ისრეთი სიყვარული და ერთობა ჰქონდათ, რომ მტერი ვერას აკლებდა საქართველოს, რა გინდ რომ ძლიერი ყოფილიყო. თუ სადმე მტერი გამოჩნდებოდა, მეფის ერთს დაძახებაზე ყველა საქართველოს ნაწილებიდგან შეიყრებოდნენ ჯარები და გამგზავრდებოდნენ მტრისთვის თავ-ზარ დასაცემად. ამისათვის ყველას ეშინოდა ქართველებისაგან და დიდს პატივს სცემდნენ. ქართლის ცხოვრების 275 კაბადონზე არის მოხსენებული: „რამეთუ ქართველთა სძლობდეს და ძმობდეს მეფენი ბერძენთანი და რომთანი, ინდოთა და არაბთანი, ეგრეთვე სულთანი ხვარასნისა და ბაბილოვნისა, შამისა, მეგვიპტისა და იკონიისანი, და შემდგომნი ამათი სკვითნი, ხაზარნი, ალანნი და ყოველნი ერნი, ენანი და ნათესავნი, მაღრიბით მაშრიყამდე (აღმოსავლეთით და დასავლეთამდე.)

ამ გვარს პატივის ცემაში მყოფი საქართველოს ერი სტკბებოდა თავის მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრებით, ერთობით და ერთმანეთის სიყვარულით თავის მეფის გიორგი III-ს ხელ ქვეშ. მეფე ყველას, როგორც თავის შვილებს, უვლიდა, ესარჩლებოდა, რომ არსად მიმხდარიყო უსამართლობა, მეფე ხან იმერეთში სცხოვრებდა, ხან თფილისში და ხან კახეთში. თავის სამეფოში არც ერთ ნაწილს არ სტოვებდა თავის უყურადღებოდ. თუ თვითონ იმერეთში წამობრძანდებოდა და სამეფო საქმეების და სამართლის წარმოების გასახილველად, თავის მეუღლეს ბურდუხან დედოფალს თფილისში სტოვებდა, რადგან ვაჟი შვილი არა ჰყვანდა, გარდა სახელ-განთქმული თამარ დედოფლისა—ასულისა. გეგუთში, რომელიც არის იმერეთში, ქუთაისის ქალაქს ქვემოთ რიონის პირზე, ჰქონდა მშვენიერი მრავალ პალატოვანი სასახლე, რომელსაც მაშინ ციხე-დარბაზად უწოდებდნენ, ახლა კი „თამარის ციხე“. აქ იმასა ჰქონია მშვენიერი შადრევანი და ერთი დიდი სათევზე აუზი, რომელშიაც წყალი რიონიდგან მილით ყოფილა გამოყვანილი და შიგ კალმახი ჰყოლია. ზამთრობით მეფე აქ იჯდა, ლხინობდა და ნადირობდა აჯამეთის ტყეში, ზაფხულში კი ისევ გადადიოდა აღმოსავლეთის საქართველოში და ხან სცხოვრებდა თფილისში, ხან უჯარმის ციხეში. ამის დროიდგან საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილს დაერქვა „ამერი“, დასავლეთისას „იმერი“ და მას აქეთ ახლანდელ ქუთაისის გუბერნიას უწოდებენ „იმერეთი“.

აბა ახლა 1123—1156 წლების შუა მცხოვრებ ქართველებს შეადარეთ 495 წლის ვახტანგ-გორგ-ასლანის დროინდელი ქართველები, თუ არ დარწმუნდეთ, რომ ჩვენი გლეხები მარტო ვახტანგის დროს არ ეუბნებოდნენ თავის ბატონებს—გაგვიძეხით წინ და გავლეწოთ ჩვენი სამშობლოს მტერიო. საქართველოს გლეხები თითქმის მუდამ ასრეთი მამაცობით იყვნენ აღჭურვილნი; იმათ სიცოცხლე, სიმხნე, ვაჟკაცობა, ამაყობა და გამბედაობა ჰქონდათ. ისინი უბედურებას კისერს არ უხრიდნენ, თავიანთ ვაჟკაცობაში დარწმუნებულნი იყვნენ; ყოველ-უბედურებას და მტრის მძლავრობას თავის ღონივრად ქმნევარე მკერდით არღვევდნენ და ამყარებდნენ სამშობლოში მშვიდობიანობას.

ინგილო ჯანა-შვილი.

*) რადგან ყველას ფიქრით „ვეფხვის ტყაოსანი“ რუსთველმა თამარ-დედოფლის შესამკობათ დასწერა და იმის სილამაზით ეშხში მოსულმა შიგ ავთანდილის სახელით თავისი თავი გამოხატა, ამისათვის რუსთველისავე სიტყვით მე ვამტკიცებ, რომ ამისი მამა ეს ამირ-სპასალარი იყო. „ქართლის ცხოვრებაშიაც“ ამ დროს ეს სახელი არის მოხსენებული, თუმცა არ არის ნათქვამი, რომ ეს კაცი რუსთველის მამა იყოო. მაგრამ ნაცვლად ამისა „ვეფხვის ტყაოსანის“ მე 40 მუხლში თვითონ რუსთველივე ამბობს, რომ მამა ჩემი ამირ-სპასალარი იყოო და მე, თამარის დროს,“ საროსა მჯობი ნაზარდი და უწვერულიო,

### განცხადება

ამ მოკლე ხანში დაიწყება გაყიდვა ლოლშტინური კარაქისა და ქართული ყველების, რომელიც გაკეთებულია უ. ასულედიანისაგან გამართული საამხანაგო ყველის ქარხანაში, თრიალეთში.

დაწვრილებით განცხადება შემდეგ ნომერში.

| რკ. გზა. | დილა | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | 10 | 2 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 27 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | 9 | 11 | | | 1 | 18 | · | 66 |
| სამტრედია | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—კვირა საღამ. 6 საათ
სტამბოლს—კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—
ოდესას—
გ) ბაქოდამ:
ასტრახნისკენ—სამშ. ხუთშ. დილ.
ასტრაბადისკენ—კვირა შუადღეს.

### ტელეგრაფი

| | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ერთ სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | - | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 3 | — |
| სპარსეთში . . . . . | 5 | 76 |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . | 4 | — |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:
ყოველგან — პარასკევობით ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ამას გარდა ოზურგეთს — ორშაბ. ბაქოს — სამშაფ. განჯას—ოთხშაბათს (შუადღემდი).
ბ) ქუთაისიდამ:
ყოველგან—ორშაფ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს — ხუთშაბ. და შაბათ. (საღამომდი.)
გ) გორიდამ.
ყოველგან—ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე.)
დ) ფოთიდამ:
ყოველგან—ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 21 ივნისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33\frac{1}{4}$ პენსი. | — | 83 |
| პარიჟში 351 სანტიმი. | — | 88 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | 50 |
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | 50 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 173 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 170 | — |
| გ-რაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 85 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 87 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 261 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 132 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 535 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 180 | — |
| პირვ. უზრუნვ. მყოფი საზ. | 645 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ. | 262 | 50 |
| მოსკოვისუზრ. მყოფი საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 3 ივლისს | | |
| პური განჯისა . . | 1 | 45 |
| ქერი. . . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა . . | 5 | 40 |
| —ამერიკისა . . | 6 | 60 |
| გაპენტილი ბამბა . | 8 | — |
| მატყლი თუშური . | 7 | — |
| —თარაქამისა . . | 4 | 50 |
| აბრეშუმი . . . | 7 | — |
| ქონი . . . . | 4 | — |
| ქონის სანთელი . . | 6 | — |
| სტეარინის სანთელი . | 10 | 50 |
| ხორცი ძროხისა . | — | 62 |
| —ცხვრისა . . | — | 72 |
| სპირტი . . . | 8 | — |
| შაქარი კარგი . . | 8 | 65 |
| —ფხვნილი . . | 7 | 50 |
| ყავა გრგვალი . | 18 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა . | 7 | — |
| ოქრო . . . . | 5 | 94 |

### სახაზინო განცხადებანი

— კავკაზის პრიკაზის განკარგულებით თელავის უეზდის სამმართველოშია 9 სეკტემბერს უნდა მოხდეს ვაჭრობა და წესისაებრ ხელმეორედ ვაჭრობა სოფელს კურდღელაურს მდებარე ვენახის გასასყიდად. ამ ვენახზედ ითვლება 4000 მანეთი ვალი. დაფასებითი აღწერა ნახეთ თელავის უეზდის სამმართველოში.

— კავკაზის პრიკაზის განკარგულებით ამავე დღეს დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში ვაჭრობა და წესისაებრ ხელმეორეთ ვაჭრობა ქვის სახლის გასასყიდათ, რომელზედაც 2300 მანეთი ვალი არის. დაფასებითი აღწერილობა შეიძლება ნახოთ გუბერნიის სამმართველოში.

— 16 სეკტემბერს კავკაზის პრიკაზში დანიშნულია ვაჭრობა და ხელ მეორედ ვაჭრობა ერთი ქვითკირით სახლების გასასყიდად, რომელზედაც ითვლება 1,600 მანეთი ვალი. დაფასებითი აღწერა ნახე პრიკაზში.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Іюля 1874 г.* მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. —დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.